

არინა თავართქილაძე

გორში, საზღვრისპირა სოფლებში დადის, პრობლემებს ფირზე აღბეჭდავს და ინფორმაციას რეაგირებისთვის მედიას, არასამთავრობო სექტორს ან ადგილობრივ ხელისუფლებას აწვდის. მისი წყალობით 2008 წლის შემდეგ სოფელ დვანში საბავშვო ბავშვთა უფასო გახდა, მოგვიანებით კი სახურავის შესაკეთებლად დაფინანსების მიღებაც შეძლო. წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურადაა ჩართული და ყველა კანდიდატის შეხვედრას ესწრება, სვამს კითხვებს, რაც ხშირად არ მოსწონთ. აპირებს არჩევნებსაც დააკვირდეს, ამის გამო ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციაში მოხალისედ, ჰონორარის გარეშე მუშაობს. სუბიშვილების სახელობის უნივერსიტეტის ლექტორია და ამბობს, რომ მისი მთავარი მიღწევა ის იქნება, თუ ახალგაზრდები განათლებას აირჩევენ პრიორიტეტად.

არინა თავაქარაშვილი გორში, პატარა, მყუდრო ბინაში მარტო ცხოვრობს. პირველი, რაც აქ თვალში მოგხვდებათ, წიგნებია - სავსე კარადები და თაროები ყველა კუთხეშია, საბჭოთა ენციკლოპედიით დაწყებული და უახლესი გამოცემებით დამთავრებული. ამბობს, რომ აქ 2500 წიგნია, სხვები კი დროებით მეორე სახლში აქვს. აქვეა ლეპტოპი და სამუშაო, საკანცელარიო ნივთები. წიგნებს შორის განსაკუთრებით აღნიშნავს სხვადასხვა დროს მისთვის ძვირფასი ადამანების ნაჩუქარ ლიტერატურას, მათ შორისაა საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიერ დაბეჭდილი წიგნი ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე, ასევე ჯანრი კაშიას წიგნი ავტორისეული ხელმოწერით და 1995 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუცია, ყველა იმ პირის ხელმოწერით, ვინც მიიღო. თუმცა, ყველაზე დასამახსოვრებელი საჩუქარი შარშან, 50 წლის იუბილეზე გაუკეთეს - ტორტი წარწერით „აი მოქალაქე!“. ხშირად ჰქონია მომენტები, როცა უფიქრია, რომ ყველაფერი უშედეგოა და ბრძოლას აზრი არ აქვს, თუმცა აქვე აღნიშნავს - „ეს არ ნიშნავს, რომ მე გავჩერდე. როცა ვაკრიტიკებ ხელისუფლებას, ვიცი, რომ არ ვიქნები წარმოდგენილი რაიმე სერიოზულ ჯგუფში, მაგრამ მინც ამ გზით მივდივარ“.

მისთვის სტიმულია სტუდენტები და ის შედეგები, რაც მის საქმიანობას მოყვება. საზღვრისპირა სოფლებში უკვე კარგად იცნობენ, დიცში კი მე-3 კლასელი ბიჭი დაყვება ტერიტორიის დასათვალიერებლად, რომელსაც შემდგომი ჩასვლისთვის უკვე მოუმზადა საჩუქარი - თეთრი „კურტკა“.

„ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემ დასმულ პრობლემას რეაგირება მოჰყვა. დვანის ამბავი რომ ავტეხეთ, მერე მთელი საქართველო აჰყვა. პირველად რომ ჩავედი, ჯერ არ მიშვებდნენ, მაგრამ ვუთხარი, რომ მაინც ავალ, მერე თვითონ პოლიციელმა მითხრა გადაიღეო. იქითა მხარეს ავედი, წვიმიანი დღე იყო, ფეხსაცმელს აჰყვა ტალახი და ის ტალახიანი ფეხსაცმელი შევინახე, იმიტომ რომ იქ 50 წელი მაინც აღარავინ გადავა, მე ილუზიებით არ ვცხოვრობ... ერთი პატარა ბიჭია, მე-2 თუ მე-3 კლასელი, დიცში ის არის ხოლმე ჩემი თანამგზავრი. პატარა ველო ჰყავს და დამსდევს, გამომყვება იქამდე. წუხდებიან ხოლმე პოლიციელები, რას იღებ ამდენსო. ვიღებ... სახლებს გაჩვენებთ, ძალიან ბევრ მასალას გაჩვენებთ, რომელიც საერთოდ არ გინახავთ... ომი რომ დამთავრდა და პირველად ჩავედი დვანში, ვნახე რომ ბაღში 7 ბავშვი იყო და გადასახადი ათი ლარი. ავტეხე მთელი ამბავი, რა თქმა უნდა ხელისუფლებას არ ესაიამოვნა. მივაწოდე ინფორმაცია გაეროს, ევროსაბჭოს, ევროკავშირს და ეს 10 ლარი მოიხსნა. დღეს უკვე 37-დან 42 ბავშვამდგა ბაღში. მერე სახურავი იყო ჩამოქცევის პირას, წყალი ჩადიოდა. გაეროს ქალთა ფონდში მოვყევი ეს, დააფინანსეს, ინჟინერიც მოვინახე და და ააშენა. დღეს ბაღი ხალხმრავალია, ყოველ წელიწადს მეპატიჟებიან ივნისში და მეც ჩავდივარ. ბევრი ვერაფერი მიმაქვს ხოლმე, ბურთები და წვრილმანი სათამაშოები, მაგრამ მაინც მიმაქვს. ომის შემდეგ მე სოფლები ვნახე, სადაც კომპიუტერი ყუთი არა, მაგრამ არც ნაკლები ეგონათ...“ - ამბობს არინა თავაქარიშვილი.

1188-1989 წლებში მეგობრებთან ერთად არალეგალურ გაზეთს გამოსცემდა, სახელწოდებით „უწყებანი“, შემდეგ კი გაზეთს - „დღეს“, რომლის მიზანი იყო მოსახლეობისთვის ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდება. ორჯერ იყო დეპუტატობის კანდიდატი - ერთხელ ვერ გაიმარჯვა, მეორეჯერ გარიგება შესთავაზეს და საერთოდ უარი თქვა. დედაქალაქიდან გორში დაბრუნდა და აქ გააგრძელა საქმიანობა, რადგან მიაჩნია, რომ ძლიერი ლიდერები ადგილზეა საჭირო და არამხოლოდ თბილისში.

„მე მინდა ისეთი თვითმმართველობა, სადაც ადამიანი იძულებული არ იქნება ცენტრში გადავიდეს საცხოვრებლად. საქართველოს ბედი თბილისში წყდება, მაგრამ ისტორიულად საქართველო მხარეების ქვეყანაა და ლიდერები მხარეებიდან მოდიან. მე მინდა ადგილზე იყვნენ ლიდერები და ამით აღიმართოს სახელმწიფოს მშენებლობის პირამიდა. ადამიანი შენთან უნდა იყო ლიდერი, აქედან აწვდიდე წინსვლას და არა ცენტრის და ცნობილი სახეების მეშვეობით. შენში უნდა იყოს ლიდერობა, აზროვნებით უნდა იყო ლიდერი. უნდა შეგეძლოს არაპოპულარული

ნაბიჯის გადადგმა. პროგრესი ყოველთვის პოპულარობას არ მოითხოვს. ოდესღაც ამ ქვეყანას გონიერება და აზროვნება დასჭირდება და ეს არ უნდა იყოს ძალიან შორს“ - ამბობს არინა თავაქარიშვილი.

საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მომხრეა და აღნიშნავს, რომ მისთვის ღირებულება არის ევრო ქრისტიანული სივრცე, რომელიც საქართველოს ოჯახია. წელს არჩევნებში მონაწილეობა რამდენიმე პოლიტიკურმა ძალამ შესთავაზა, სიის პირველ ნომრობას ჰპირდებოდნენ. თუმცა ყველა შემოთავაზებაზე უარი თქვა, რადგან ჩათვალა, რომ მხოლოდ იმიტომ მიიპატიჟეს, რათა ეჩვენებინათ, თითქოს მათ პარტიაში გენდერული ბალანსი დაცულია.

„დღეს პოლიტიკური სუბიექტები დაემებენ ქალებს არა იმიტომ, რომ ისინი ბუნებით ლიდერები არიან, არამედ იმიტომ რომ მოთხოვნადია პირველ ათ კაცში სამი ქალი. რამდენიმე პარტიამ შემომთავაზა სიის თავში ყოფნა. არ დავთანხმდი, რადგან არ მინდა კანდიდატობა მხოლოდ იმის საჩვენელად, რომ გენდერული ბალანსი აქვთ დაცული. მე მინდა ეს ბალანსი იდეურად იქნას დაცული“ - აღნიშნავს არინა თავაქარიშვილი.

ამბობს, რომ ქალთა უფლებები განსაკუთრებით აინტერესებს და პრობლემა სოფლებში უფრო მწვავეა, იმის გამო, რომ იქ განათლება არ ჰქარბობს. ყველა ისტორიებს ომის შემდგომი გორის რაიონიდან, როცა კოტეჯებს ქალებს მხოლოდ იმ შემთხვევაში უფორმებდნენ, თუ ქვრივები ან მარტოხელები იყვნენ. ყოფილა შემთხვევაც, როდესაც ოჯახში მხოლოდ ქალები იყვნენ და კოტეჯი არ გადაუხურეს. ყველა ეს ისტორია შენახული და ჩაწერილი აქვს, აკეთებს კვლევებს და აქვეყნებს იქ, სადაც ხელი მიუწვდება, მათ შორის სოციალურ ქსელში.

წლების წინ დისკრიმინაციის მსხვერპლი თვითონაც გამხდარა, მაშინ, როცა ბაბუამ სახლი მას უანდერძა და საზოგადოების ერთმა ნაწილმა ჩათვალა, რომ ქალისთვის მემკვიდრეობა არ უნდა დაეტოვებინა.

„კარგა ხანი სასამართლოში მატარეს იმის გამო, რომ მემკვიდრეობა არ მიმეღო. ასე რომ, მე ეს საკუთარ თავზეც მაქვს განცდილი“ - ამბობს არინა თავაქარიშვილი.

მიაჩნია, რომ ქალს მეტი შეუძლია, ვიდრე კაცს და თუ 50 კილოგრამიან ტომარას ვერ ასწევს, 50 კილოგრამიანი ტომარის საქმეს გააკეთებს.

„ჩემნაირი ამბიციური ადამიანი ამ საკითხს უყურებს ისე, რომ ქალს უფრო მეტი შეუძლია. მამიდა ქვრივი იყო და თავის შვილთან ერთად გამზარდა, მან შეძლო, რომ ფეხზე დავეყენებინეთ, სერიოზული განათლება მოგვცა. დედაჩემი, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად სუსტი იყო და ბევრი ტრაგედია გადაიტანა, დადგა ფეხზე.

მიიღო კარგი განათლება და შექმნა მეორე ოჯახი. ქალს ეს შეუძლია, კაცს არა. ქალი ფიზიკურად სუსტია, მაგრამ ის აზრობრივად მამაკაცის თანასწორია“.

ამბობს, რომ ტოლერანტობა ჩვენში უნდა იყოს და არა რომელიმე ლიტერატურაში ან კონფერენციაზე. დედის მაგალითი მოჰყავს, რომელიც ქართულ-ოსურ სოფელში მასწავლებელი იყო და 90-იან წლებში იქ მცხოვრები ყველა ოსის პირად ნივთებს სახლში ინახავდა, ისე, რომ მერე ყველამ მოახერხა წაღება.

„შეიძლება ჩემზე ამბობენ გიჟიაო. მაგრამ მირჩევნია მე და ჩემნაირებს დაგვიძახონ გიჟი და ამ ქვეყანას ეშველოს, ჩვენ ავიტანთ ამას. თუმცა, შინაგანი გულდაწყვეტა ბევრჯერ მქონია და მაქვს, მაგრამ ეს ჩემში რჩება. ტყუილია, რომ გადაგავიწყდეს, მაგრამ გარედან ამას არ ვაჩვენებ და მაინც ამ გზით ვივლი“ - ამბობს არინა თავაქარიშვილი.

ხატია ლოღობერიძე